

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

აის ლენდ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
ძირითადი საქმიანობა	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	10
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
მოგების გადასახადი	11
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11
ძირითადი საშუალებები.....	11
არამატერიალური აქტივები.....	12
გადახდილი ავანსები	12
სესხები	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
ღივიდენდები	13
შემოსავალი რეალიზაციიდან	13
თვითღირებულების ხარჯები	13
ხარჯები	13
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	13
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	17
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მპს „აის ლენდ ჯორჯიას“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ მპს „აის ლენდ ჯორჯია“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

27 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდობა ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

ბელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

27 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს აის ლენდ ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	39,329,284	38,098,001
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(18,933,874)	(19,872,989)
მთლიანი მოგება		20,395,410	18,225,012
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	4	(11,179,141)	(9,848,002)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(7,548,597)	(5,497,847)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,831,312	992,032
სხვა საოპერაციო ხარჯები		(756,005)	(1,031,546)
საოპერაციო მოგება		2,742,979	2,839,649
ფინანსური შემოსავალი		841,257	1,082,217
ფინანსური ხარჯი	7	(1,694,115)	(1,598,736)
მოგება დაბერგვამდე		1,890,121	2,323,130
მოგების გადასახადი		(6,271)	(147,766)
წმინდა მოგება		1,883,850	2,175,364
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,883,850	2,175,364

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - პაპუნა მესხიშვილი

მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

მპს აის ლენდ ჯორჯია
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	39,329,284	38,098,001
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(18,933,874)	(19,872,989)
მთლიანი მოგება		20,395,410	18,225,012
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	4	(11,179,141)	(9,848,002)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(7,548,597)	(5,497,847)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,831,312	992,032
სხვა საოპერაციო ხარჯები		(756,005)	(1,031,546)
საოპერაციო მოგება		2,742,979	2,839,649
ფინანსური შემოსავალი		841,257	1,082,217
ფინანსური ხარჯი	7	(1,694,115)	(1,598,736)
მოგება დაბერგვამდე		1,890,121	2,323,130
მოგების გადასახადი		(6,271)	(147,766)
წმინდა მოგება		1,883,850	2,175,364
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		1,883,850	2,175,364

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - პაპუნა მესხიშვილი


მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	8	6,019,442	2,577,844
არამატერიალური აქტივები		1,076	2,300
სულ გრძელვადიან აქტივები		6,020,518	2,580,144
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	4,449,967	3,877,220
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	10,942,915	11,749,223
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	11	357,116	614,774
საგადასახადო აქტივი, წმინდა		700,088	147,102
ფული და ფულის ექვივალენტები	12	429,264	2,842,761
სულ მიმდინარე აქტივები		16,879,351	19,231,080
სულ აქტივები		22,899,868	21,811,224
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6,535,269	4,684,019
სულ კაპიტალი		6,535,269	4,684,019
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	4,629,364	2,726,803
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,629,364	2,726,803
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	6,813,210	5,157,576
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	13	4,922,025	9,242,826
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,735,235	14,400,402
სულ ვალდებულებები		16,364,599	17,127,205
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,899,869	21,811,224

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ჰაუნა მესხიშვილი

მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	8	6,019,442	2,577,844
არამატერიალური აქტივები		1,076	2,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,020,518	2,580,144
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	4,449,967	3,877,220
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	10,942,915	11,749,223
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	11	357,116	614,774
საგადასახადო აქტივი, წმინდა		700,088	147,102
ფული და ფულის ექვივალენტები	12	429,264	2,842,761
სულ მიმდინარე აქტივები		16,879,351	19,231,080
სულ აქტივები		22,899,868	21,811,224
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6,535,269	4,684,019
სულ კაპიტალი		6,535,269	4,684,019
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	4,629,364	2,726,803
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,629,364	2,726,803
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	6,813,210	5,157,576
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	13	4,922,025	9,242,826
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,735,235	14,400,402
სულ ვალდებულებები		16,364,599	17,127,205
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,899,869	21,811,224

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - პაუნა შესნიშვილი


მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,315,567	3,315,567
წმინდა მოგება	2,175,364	2,175,364
გადახდილი დივიდენდი	(806,912)	(806,912)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4,684,019	4,684,019
წმინდა მოგება	1,883,850	1,883,850
გადახდილი დივიდენდი	(32,600)	(32,600)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	6,535,269	6,535,269

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ჰაჰუნა მესხიშვილი

მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,315,567	3,315,567
წმინდა მოგება	2,175,364	2,175,364
გადახდილი დივიდენდი	(806,912)	(806,912)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4,684,019	4,684,019
წმინდა მოგება	1,883,850	1,883,850
გადახდილი დივიდენდი	(32,600)	(32,600)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	6,535,269	6,535,269

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - პაპუნა მესხიშვილი


 მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,890,121	2,323,130
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	527,985	417,803
არამატერიალური აქტივების ცვეთა	1,225	2,114
საპროცენტო შემოსავალი	(41,881)	(84,755)
საპროცენტო ხარჯი	1,475,351	1,448,687
მარაგების გაუფასურება	680,856	621,738
ანარიცხები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გაცემულ სესხებზე	8,500	(17,677)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანარიცხები	66,650	409,808
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	218,764	90,714
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	4,827,569	5,211,561
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	739,175	(5,391,275)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,253,604)	(2,316,711)
ცვლილებები გადასახადებში	(552,986)	(104,263)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	1,636,685	2,645,571
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,396,839	44,883
გადახდილი მოგების გადასახადი	(6,271)	(147,766)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,390,568	(102,884)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(4,010,829)	(1,152,655)
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	41,247	9,361
გაცემული სესხები	(89,500)	(94,500)
გაცემული სესხების დაფარვა	380,539	532,783
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,678,544)	(705,011)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	(32,327,085)	(33,230,927)
მიღებული სესხები	29,872,122	37,249,281
გადახდილი პროცენტები	(1,438,627)	(1,403,856)
გადახდილი დივიდენდი	(32,600)	(806,912)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,926,190)	1,807,586
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(199,331)	(139,363)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(2,413,497)	860,329
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,842,761	1,982,433
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	429,264	2,842,762

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - პაპუნა მესხიშვილი

მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,890,121	2,323,130
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	527,985	417,803
არამატერიალური აქტივების ცვეთა	1,225	2,114
საპროცენტო შემოსავალი	(41,881)	(84,755)
საპროცენტო ხარჯი	1,475,351	1,448,687
მარაგების გაუფასურება	680,856	621,738
ანარიცხები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გაცემულ სესხებზე	8,500	(17,677)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანარიცხები	66,650	409,808
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	218,764	90,714
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	4,827,569	5,211,561
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	739,175	(5,391,275)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,253,604)	(2,316,711)
ცვლილებები გადასახადებში	(552,986)	(104,263)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	1,636,685	2,645,571
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,396,839	44,883
გადახდილი მოგების გადასახადი	(6,271)	(147,766)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,390,568	(102,884)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(4,010,829)	(1,152,655)
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	41,247	9,361
გაცემული სესხები	(89,500)	(94,500)
გაცემული სესხების დაფარვა	380,539	532,783
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,678,544)	(705,011)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	(32,327,085)	(33,230,927)
მიღებული სესხები	29,872,122	37,249,281
გადახდილი პროცენტები	(1,438,627)	(1,403,856)
გადახდილი დივიდენდი	(32,600)	(806,912)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,926,190)	1,807,586
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(199,331)	(139,363)
ფული და ფულადი ექვივალენტის წესო ცვლილება	(2,413,497)	860,329
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,842,761	1,982,433
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	429,264	2,842,762

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - პაპუნა მესხიშვილი


 მთავარი ბუღალტერი - სალომე ბაქრაძე

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „აის ლენდ ჯორჯია“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2014 წლის 5 მაისს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვ. გაბაშვილის ქუჩა N8, ბინა N9. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია პაპუნა მესხიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმით.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას,

სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. კომპანია ხარჯად აღიარებს ისეთ გაუფასურებულ მოთხოვნებს, რომელზეც მომავალში აღარ ელოდება ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება მისი რეალური ღირებულებით, შემცირებული უიმედო მოთხოვნების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ საფუძველზე და თუ არსებობს რისკი იმისა რომ ესა თუ ის მოთხოვნა ვერ იქნება დაფარული ხდება მისი დარეზერვება და შემდგომში ხარჯად აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. ვადაგასული ან დაზიანებული მარაგები კორექტირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში და წარდგენილია რეალური საბაზრო ღირებულებით.

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტის ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც

განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში.

წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის ცვლის ხარჯი

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვლათა და ამორტიზაცია. სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• მანქანა-დანადგარები	8 წელი
• ოფისის აღჭურვილობა-ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
• მაცივრები	5 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღიარებულია თვითღირებულებით და არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვალიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება უცხოურ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოქმნილია საქონლის იმპორტის დროს და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- (გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში. ასევე პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს იმ პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი მარაგის მიღებასთან.

ხარჯები

მარკეტინგის და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და მივლინების ხარჯი, სადისტრიბუციო ქსელში გამოყენებული ავტომობილების ცვეთის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შესადარისი ინფორმაცია

გასულ პერიოდში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ცვლილებები და მათი ზეგავლენა ანგარიშგებაზე ასახულია ქვემოთ ნაჩვენები ანგარიშების შესაბამისად:

2022	გადაანგარიშებული	გადაანგარიშების ეფექტი	წარდგენილი
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,877,220	(49,085)	3,926,304
ძირითადი საშუალებები	2,577,844	60,333	2,517,511
თვითღირებულების ხარჯი	(19,872,989)	(49,085)	(19,823,904)
ძირ. საშუალების ჩამოწერიდან მიღებული შედეგი	992,032	60,333	931,699

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან	2023	2022
პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული შემოსავალი	40,995,393	38,137,765
პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი	883,334	1,306,671
დაბრუნებები	(2,549,443)	(1,346,435)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	39,329,284	38,098,001

შენიშვნა 4 - გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	2023	2022
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	6,744,999	5,814,437
ხელფასის და ბონუსის ხარჯები	2,884,300	2,493,181
საწვავის ხარჯები	748,331	867,128
საიჯარო ხარჯები	592,992	524,562
ტრანსპორტირების ხარჯები	208,519	148,695
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	11,179,141	9,848,002

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
ხელფასის ხარჯები	3,174,581	2,375,850
მომსახურების ხარჯები	3,578,261	2,499,295
ცვთის ხარჯები	529,209	419,916
დაზღვევის ხარჯები	57,222	42,888
საკონსულტაციო ხარჯები	-	30,304
საბანკო ხარჯები	38,501	29,125
საკანცელარიო ხარჯები	14,668	15,336
კომუნიკაციის ხარჯები	14,643	13,063
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,458	1,408
სხვა ხარჯები	139,055	70,662
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,548,597	5,497,847

შპს აის ლენდ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - სხვა საოპერაციო შემოსავლები	2023	2022
საიჯარო შემოსავლები	1,550,423	815,413
სხვა საოპერაციო შემოსავლები	280,889	176,619
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,831,312	992,032

შენიშვნა 7 - ფინანსური ხარჯი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	1,475,351	1,508,022
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	218,764	90,714
სულ ფინანსური ხარჯი	1,694,115	1,598,736

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	მაცივრები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	1,025,000	-	110,775	83,710	1,667,080	568,070	3,454,635
ცვეთა	-	-	(79,304)	(48,235)	(1,200,247)	(274,496)	(1,602,282)
ბალანსი 31/12/2021	1,025,000	-	31,470	35,475	466,833	293,575	1,852,353
დანამატები	-	929,783	-	25,604	-	197,267	1,152,655
აქტივების ჩამოწერა	-	-	(17,797)	(8,621)	(73,617)	(16,920)	(116,955)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(8,205)	(17,095)	(309,738)	(82,764)	(417,803)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	8,057	82,617	16,920	107,594
ბალანსი 31/12/2022	1,025,000	929,783	5,469	43,419	166,095	408,078	2,577,844
დანამატები	379,500	2,463,390	230,895	76,796	586,357	273,891	4,010,829
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(6,609)	(76,141)	(72,294)	(155,044)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(136,266)	(11,749)	(14,802)	(220,731)	(144,436)	(527,985)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	6,034	68,889	38,874	113,797
ბალანსი 31/12/2023	1,404,500	3,256,908	224,615	104,839	524,469	504,112	6,019,442
ბალანსი 31/12/2022	1,025,000	929,783	5,469	43,419	166,095	408,078	2,577,844
ბალანსი 31/12/2023	1,404,500	3,256,908	224,615	104,839	524,469	504,112	6,019,442

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2023	31.12.2022
სარეალიზაციო საქონელი	4,393,175	3,843,425
სხვა მარაგები	56,792	33,794
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,449,967	3,877,220

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	11,573,486	10,711,602
გადახდილი ავანსები	245,849	1,847,391
მოთხოვნების რეზერვები	(876,419)	(809,770)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10,942,915	11,749,223

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები შემდეგია:

	31.12.2023	31.12.2022
1 იანვარი	(809,770)	(399,962)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(66,650)	(409,808)
31 დეკემბერი	(876,419)	(809,770)

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები	31.12.2023	31.12.2022
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	61,100	176,100
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	172,500	357,039
მისაღები პროცენტები	155,872	113,992
ანარიცხები	(32,357)	(32,357)
სულ სესხები	357,115	614,774

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	614,773	950,624
სესხის გაცემა	89,500	94,500
ანარიცხების დარიცხვა/ამორტიზაცია	(8,500)	17,677
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(380,539)	(532,783)
საპროცენტო ვალდებულებების დარიცხვა	41,881	84,755
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	-	-
სულ ნასესხები სახსრები	357,115	614,773

შპს აის ლენდ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	424,364	2,842,397
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	4,900	365
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	429,264	2,842,761

შენიშვნა 13 - სასესხო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	4,840,860	9,198,446
გრძელვადიანი სესხები	4,629,364	2,726,803
გადასახდელი პროცენტები	81,166	44,381
	9,551,390	11,969,629
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	9,470,224	11,925,637
გადასახდელი პროცენტები	81,166	43,993
სულ სასესხო ვალდებულებები	9,551,390	11,969,630

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
პროკრედიტ ბანკი	12.5%	ლარი	15.09.2020	15.09.2022	-	3,223,000
პროკრედიტ ბანკი	12.5%	ლარი	25.11.2020	25.11.2022	-	600,000
პროკრედიტ ბანკი	11%	ლარი	18.03.2021	20.03.2023	-	999,836
პროკრედიტ ბანკი	11%	ლარი	27.07.2021	27.07.2022	-	-
პროკრედიტ ბანკი	11%	ლარი	27.07.2020	27.07.2021	-	675,999
თიბისი ბანკი	4%	ლარი	10.04.2019	04.08.2022	-	-
თიბისი ბანკი	11%	ლარი	24.08.2018	02.08.2022	-	-
თიბისი ბანკი	11.5%	ლარი	04.08.2022	16.08.2024	470,224	2,000,000
თიბისი ბანკი	13%	ლარი	16.11.2022	17.03.2023	-	1,700,000
თიბისი ბანკი	11%	ლარი	25.05.2023	20.06.2025	4,000,000	-
თიბისი ბანკი	14%	ლარი	30.12.2021	30.12.2031	5,000,000	2,726,803
სულ სასესხო ვალდებულებები					9,470,224	11,925,637

	2023	2022
სესხები 1 იანვრის მდგომარეობით	11,969,629	7,906,444
სესხის მიღება	29,872,122	37,249,281
გადახდები წლის განმავლობაში	(32,327,085)	(33,230,927)
საპროცენტო ვალდებულების დაფარვა	(1,438,627)	(1,403,856)
პროცენტის დარიცხვა	1,475,351	1,448,687
სულ სესხები	9,551,390	11,969,629
გრძელვადიანი სესხი	4,629,364	2,726,803
მოკლევადიანი სესხი	4,922,026	9,242,826

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 14 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	6,600,252	4,819,193
მიღებული ავანსები	44,333	131,230
სახელფასო ვალდებულებები	168,625	207,153
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6,813,210	5,157,576

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2023	2022	
გაცემული სესხები	172,500	172,500	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
მისაღები პროცენტები	76,171	53,517	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,834,373	2,350,942	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	60,790	16,930	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები

შპს აის ლენდ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:			
	2023	2022	
მომსახურების შეძენა	4,030,338	2,720,205	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
გაწეული მომსახურებები	2,066	596,180	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები

წამყვან მენეჯმენტზე გაცემულმა ხელფასმა 2023 წელს შეადგინა 752,477 ლარი, ხოლო 2022 წელს 465,829 ლარი.

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

შპს „აის ლენდ ჯორჯია“

2023 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1.	კომპანიის განვითარების გეგმები.....	31
2.	კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	32
3.	ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	33
4.	კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	33
5.	საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	34
6.	ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	35

1. კომპანიის განვითარების გეგმები, სტრუქტურა და საქმიანობა

კომპანია, ბაზარზე საკუთარი წილის გაზრდის მიზნით, გეგმავს:

- არსებული ასორტიმენტის განვითარება სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობებით;
- ახალი ბრენდების მოძიება და მისი შემდგომი განვითარებისთვის სწორი საფასო პოლიტიკა;
- მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ლოჯისტიკური პროცესის დახვეწა.

შპს „აის ლენდ ჯორჯია“, ს/ნ 405041798, დაარსდა 2014 წლის 05 მაისს. კომპანიის დამფუძნებელია:

პაპუნა მესხიშვილი, პ/ნ 01008035874 - 100%

კომპანიის მთავარი სათათბირო და მმართველობითი ორგანო - „ბორდის“ შემადგენლობაში შედიან:

პაპუნა მესხიშვილი	-	დირექტორი / დამფუძნებელი
სულხან პავლიაშვილი	-	გაყიდვების დირექტორი
სალომე ბაქრაძე	-	მთავარი ბუღალტერი

„ბორდის“ ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

კომპანიაში არსებობს დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფი შიდა აუდიტის ჯგუფი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კონსიგნაციით გაყიდვების კონტროლი და პრესეილერების ოპერაციების კოორდინაცია.

კომპანიაში არსებობს ე.წ. „გაფართოებული ბორდი“, რომელშიც დამატებით შედიან სუპერვაიზერები და საწყობის მენეჯერი. მისი ძირითადი ფუნქციაა კოორდინაცია/კომუნიკაცია.

შპს „აის ლენდ ჯორჯია“ 2017 წლამდე ეწეოდა მხოლოდ გაყიდვითი პროდუქციის დისტრიბუციას. როგორცაა: ნაყინი, ცომეული, პელმენი და სხვადასხვა ნახევარფაბრიკატები.

2017 წლის მარტიდან შპს „აის ლენდ ჯორჯია“ გახდა N1 რუსული საკონდიტრო ჰოლდინგის - „გაერთიანებული კონდიტერები“-ის (United Confectioners) ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. „გაერთიანებული კონდიტერები“ (United Confectioners) რუსული კომპანიაა, რომელიც 20-ე პოზიციას იკავებს Candy Industry Top 100 რეიტინგში 2021 წლის მონაცემებით. „გაერთიანებული კონდიტერები“ უშვებს 500-ზე მეტი დასახელების პროდუქციას, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით. „გაერთიანებული კონდიტერები“-ს ასორტიმენტის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: <https://www.uniconf.ru/assortment/catalog>.

შპს „აის ლენდ ჯორჯია“-მ 2020 წლის აპრილში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა მსოფლიო ბრენდის - „მარსი“-ს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ნაყინის („სნიკერსი“, „ბაუნტი“, „მარსი“, „ტვიქსი“ და სხვა) დისტრიბუციის მიმართულებით.

გარდა ზემოთხსენებული ბრენდებისა შპს „აის ლენდ ჯორჯია“-ს სადისტრიბუციო პორტფელი მოიცავს შემდეგ ბრენდებსაც: „რუდი“ (უკრაინული წარმოების ნაყინი), „კაროვკა“ (რუსული წარმოების ნაყინი), „მარსიანკა“ (რუსული წარმოების შოკოლადი), „გრანდ ქენდი“ (სომხური წარმოების საკონდიტრო ნაწარმი), „ნევსკი კონდიტერი“ (რუსული წარმოების საკონდიტრო ნაწარმი), „ტორერო“ (რუსული წარმოების ვაფლი).

1. კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

შპს „აის ლენდ ჯორჯია“ სადისტრიბუციო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ

ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). კომპანია მომხმარებელს პროდუქციას აწვდის დაახლოებით 6,000-მდე პარტნიორი მაღაზიის მეშვეობით. ამათგან ყველაზე მსხვილი დამკვეთები არიან მაღაზიათა ქსელები - კარფური, ნიკორა, მაგნიტი, ორი ნაბიჯი.

„აის ლენდ ჯორჯიას“-ს მიზანია წლიური რეალიზაცია გავზარდოს 45 მილიონ ლარამდე. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ კომპანიის სადისტრიბუციო პორტფელში არსებული პროდუქცია ძირითადად განკუთვნილია ქსელური სუპერმარკეტებისთვის და ამ ფორმატის მაღაზიების განვითარების დინამიკას თუ დავაკვირდებით, ვითარდება აგრესიულად და შთანთქავს ახლომდებარე პატარა ფორმატის მაღაზიებს, სადაც ჩვენი პროდუქცია შედარებით ნაკლები რაოდენობით იყიდება.

ჩვენი კომპანია საკვების პროდუქტების დისტრიბუტორია, შესაბამისად ჩვენ მკაცრად ვაკონტროლებთ ჩვენი პროდუქციის ხარისხს, მისი შენახვის პირობებს (მოვაწყეთ ახალი სასაწყობო მეურნეობა ტემპერატურული კონტროლით და სხვა) და ვარგისიანობის ვადებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა კომპანიამ თავისი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება მოახდინა უძრავ ქონებაში. აუქციონის წესით 2021 წლის აპრილის თვეში აჭარის რეგიონში შევიძინეთ მიწა - 8,491 მ² და 2023 წლის პირველ ნახევარში დავასრულეთ თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა - 3,645 მ². რომელიც უკვე შესულია ექსპლოატაციაში. სასაწყობო შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცემულია იჯარით რამოდენიმე კომპანიაზე. ანალოგიური ინვესტიციის განხორციელება დავიწყეთ ქ. ქუთაისში, შევიძინეთ 5133 მ² მიწის ნაკვეთი და მომდევნო ორ-სამ წელში დავასრულებთ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საწყობის მშენებლობას.

საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხს არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს დისტრიბუციისას, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის სფეროს ძირითადი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო. სააგენტოს მიერ ჩვენი პროდუქციის შემოწმების შედეგად არ დაუწესებია არანაირი სანქცია ან ჯარიმა.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტებისა და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათაო ოფისის მეშვეობით, არ გავაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 175 ადამიანი, მათ შორის: 28 დასაქმებულია ოფისში, 38 საწყობში, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები წარმოადგენენ გაყიდვებს (გაყიდვების მენეჯერები, პრისელიერები, დისტრიბუტორები/მძღოლები, მერჩენდაიზერები).

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო

რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,942,915	11,749,223
ფული და ფულის ეკვივალენტები	429,264	2,842,761
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	357,116	614,774
სულ ფინანსური აქტივები	11,729,295	15,206,758

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სესხები	9,551,390	11,969,629
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,813,210	5,157,576
საიჯარო ვალდებულება		
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან	0	0
დაკავშირებული ვალდებულება		
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,364,600	17,127,205

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. ზემოაღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

საბაზრო რისკი - კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

სავალუტო რისკი - ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში იმპორტირებული საქონლის დისტრიბუცია და აღნიშნული საქონლის თავდაპირველი ფასი განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	190	-961,154
ევრო	30	46,913
სულ	220	-914,241

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	-192,193
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	192,193
ევროს 20 %-ით გამყარება	9,389
ევროს 20 %-ით გაუფასურება	-9,389

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების დასხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,942,915				10,942,915
საგადასახადო აქტივი, წმინდა	700,088				700,088
ფული და ფულის ეკვივალენტები	429,264				429,264
პროცენტიანი აქტივები					
გაცემული სესხები	357,116				357,116
სულ ფინანსური აქტივები	12,429,383	0	0	0	12,429,383
ფინანსური ვალდებულებები					

მოკლევადიანი სესხები	-4,922,025				-4,922,025
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-6,813,210				-6,813,210
სულ ფინანსური ვალდებულებები	-11,735,235	0	0	0	-11,735,235
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	694,148	0	0	0	694,148

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

პაპუნა მესხიშვილი _____

დირექტორი

27 სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,942,915				10,942,915
საგადასახადო აქტივი, წმინდა	700,088				700,088
ფული და ფულის ეკვივალენტები	429,264				429,264
პროცენტიანი აქტივები					
გაცემული სესხები	357,116				357,116
სულ ფინანსური აქტივები	12,429,383	0	0	0	12,429,383
ფინანსური ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები	-4,922,025				-4,922,025
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-6,813,210				-6,813,210
სულ ფინანსური ვალდებულებები	-11,735,235	0	0	0	11,735,235
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	694,148	0	0	0	694,148

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

პაპუნა მესხიშვილი



დირექტორი

27 სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო